პოლიტიკური ელიტის აღქმების გავლენა მცირე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე: საქართველოს მიერ გერმანიის პროტექტორატის არჩევანი (1918)

ირაკლი იაგორაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''.

ირაკლი იაგორაშვილი

20.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს პოლიტიკური ელიტის მიერ საერთაშორისო გარემოს აღქმის გავლენას მცირე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1918 წლის მაგალითზე, კერძოდ, გერმანიის პროტექტორატის არჩევანზე. აღნიშნული მოვლენა აქამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ძირითადად გეოპოლიტიკური შედეგის სახით განიხილება. მოცემული კვლევა კი კოგნიტური აღქმებისა და კონსტრუქტივიზმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით იკვლევს პოლიტიკური ელიტის სუბიექტური აღქმების, იდენტობისა და სხვა არამატერიალური ფაქტორების როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე გამართლების სტრატეგიებს შიდა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. კვლევა დაეფუძნა ჰიპოთეზას, რომ პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება გერმანიის პროტექტორატის არჩევის შესახებ განპირობებული იყო უმთავრესად საერთაშორისო გარემოს აღქმითა და გეოპოლიტიკური ვითარებით, ხოლო სუბიექტური აღქმის ფაქტორები გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმნიშვნელო როლს თამაშობდა.

კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია და ცალკეული შემთხვევის ანალიზი. პირველადი წყაროების, 1918 წლის პარტიული პრესის, პოლიტიკური ელიტის მემუარებისა და ოფიციალური დოკუმენტების, სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის აღქმები, არგუმენტები და ლეგიტიმაციის სტრატეგიები, რომლებიც დაჯგუფდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: გერმანიის აღქმა და მისი პროტექტორატის გამართლება, ოსმალეთის იმპერიის აღქმა, ინგლისის აღქმა და იდეოლოგიური ფაქტორები.

კვლევის შედეგების მიხედვით ძირითადი ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა: გეოპოლიტიკური ვითარება გადამწყვეტი ფაქტორი იყო გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა სუბიექტური აღქმები სრულად არ იყო გამორიცხული. კვლევამ აჩვენა, რომ

კოგნიტური აღქმებისა და კონსტრუქტივიზმის თეორიული ჩარჩოები ეფექტურად ავსებს ერთმანეთს ამ კონკრეტული გადაწყვეტილების ასახსნელად, კერძოდ, პირველი გვიჩვენებს, როგორ ამარტივებდა ელიტა რეალობის აღქმას კრიზისულ სიტუაციაში, მეორე კი ხსნის თუ რა იდენტობის ფარგლებში მოქმედებდა ელიტა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა ოსმალეთის იმპერიას მთავარ ეგზისტენციალურ საფრთხედ აღიქვამდა, რაც განსაზღვრავდა გერმანული პროტექტორატის არჩევანის აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მონარქიული სახელმწიფო იყო და სოციალ-დემოკრატები მას იმპერიალისტებად აღიქვამდნენ, რაც მათ იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ეს ფაქტორი გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენდა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. კვლევაში ასევე გამოიკვეთა, რომ გერმანია შედარებით "ნაკლებ ბოროტებად" აღიქმებოდა, ძირითადად რუსული იმპერიალიზმის წინარე გამოცდილების ფონზე. ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატული ელიტა ოსმალეთის საფრთხეს ანალოგიურად აღიქვამდა, თუმცა გერმანიის პროტექტორატს განსხვავებული მოტივით უჭერდა მხარს: მათი შეხედულებით, გერმანიასთან დაახლოება საქართველოს ევროპულ ცივილიზაციასთან კავშირს და კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის პროტექტორატი, პოლიტიკური ელიტა, გეოპოლიტიკური აღქმები, მცირე სახელმწიფო

Abstract

This thesis examines the influence of political elites' perceptions of the international environment on the foreign policy decisions of a small state, using the example of the Democratic Republic of Georgia in 1918, specifically its decision to seek a German protectorate. In the existing literature, this event has largely been analyzed as a geopolitical outcome. This study, however, employs the theoretical frameworks of cognitive perception and constructivism to investigate the role of political elites' subjective perceptions, identity, and ideology in the decision-making process, as well as the strategies used to justify the decision to both domestic and international audiences. The research is based on the hypothesis that the political elite's decision to choose a German protectorate was primarily determined by perceptions of the international environment and the geopolitical situation, while subjective perceptual factors played only a minor role in the decision-making process.

The study employs a qualitative methodology and a single-case study design. Through a systematic analysis of primary sources, including party newspapers from 1918, memoirs of political elites, and official documents, the research identifies the perceptions, arguments, and legitimization strategies of both the ruling and opposition political elites. These were categorized according to the following themes: perceptions of Germany and the justification of its protectorate, perceptions of the Ottoman Empire, perceptions of Britain, and ideological factors.

The findings indicate that the main hypothesis was partially confirmed: the geopolitical situation was the decisive factor in the decision-making process, although subjective perceptions were not entirely absent. The study demonstrates that the theoretical frameworks of cognitive perception and constructivism complement one another effectively in explaining this particular decision. Specifically, the former illustrates how political elites simplified and interpreted reality under crisis conditions, while the latter explains the identity framework within which the elites operated.

The research reveals that the ruling political elite perceived the Ottoman Empire as the principal existential threat, which largely determined the necessity of choosing a German protectorate. Although Germany was a monarchical state and was viewed by Social Democrats as an imperialist power, an assessment that conflicted with their ideological convictions, this factor did not exert a decisive influence on the final decision. The study also finds that Germany was perceived as the

"lesser evil," largely in light of prior experiences with Russian imperialism. The opposition National Democratic elite shared a similar perception of the Ottoman threat but supported the German protectorate for different reasons. In their view, closer ties with Germany would strengthen Georgia's connection to European civilization and contribute to the country's cultural and economic development.

Keywords: Democratic Republic of Georgia, German Protectorate, Political Elite, Geopolitical Perceptions, Small State.